

L  
1957

ქართული  
ბიბლიოთეკა




— ბატონო დირექტორო, გუშინ გურგენიძემ კრებაზე  
გაგაკრიტიკათ, შტატი გაბერაო.  
— ძალიან კარგი, ხვალვე მოაუოლე გურგენიძე შემცირებაში.

№ 23      დეკემბერი თბილისი      1957

# ბიბლიოთეკა

ბათუმის XXXV წელი უბანი 2 მან.





— აი, მესმის ახეთი კაბინეტი.

# მ. კორუკოი გეგმარაი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კოლმეურნეობა და, როგორც ყველა კოლმეურნეობას, მასაც ჰყავდა თავმჯდომარე, ბუღალტერი და საწყობის გამგე.

ხომ გაგიგონიათ, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, ჰოდა, ეს სამეული თითქო ერთმანეთის ახლო ნათესავეები იყვნენ, ისე შეეწყვნენ ერთმანეთს. უერთმანეთოდ, რომ იტყვიან: ერთ შოთ პურსაც არ გასტეხდნენ და ერთი ხელადა ღვინო რაა, იმასაც კი ჭაშნიკს არ გაუსინჯავდნენ. ვინაიდან კოლმეურნეობა მოწინავედ ითვლებოდა, შესამოწმებლად არავინ მოდიოდა, პირიქით, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, გეგმის შემსრულებელს (როგორც არ უნდა შეასრულოს; საერთო ანგარიშით, თუ ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით) ყოველთვის პატივს სცემენ და სათანადო, რა თქმა უნდა, კარგი ეპითეტებითაც ამკობენ. ამ შემთხვევაშიც ასე ხდებოდა, კოლმეურნეობის დოვლათი კი ამ ყოვლისშემძლე სამეულის ხელში კალოზე აყრილი ხვავივით ნიავედებოდა.

ასე იყო თუ ისე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კარგი ავტორიტეტი ჰქონდა და ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ხოლო ბუღალტერი და საწყობის გამგე კი თავს განსაცდელის ქამს შვილების მოყვარული კრუხის ფრთების ქვეშ ამოფარებული წიწილებით გრძნობდნენ.

ეს კალაპოტში ჩამდგარი, გიშრის მძივებივით აწყობილი, ჩვეულებრივი საქმე უჩვეულო და ყველასათვის მოულოდნელმა ამბავმა შესცვალა, რომელიც მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც, სამეულის გულმავიწყობისა და გადაჭარბებული სიხარბის გამო, «თავისი წილი» ვერ მიეღო, მჯიღს გულზე იცემდა და გაგულისებული გაიძახოდა: «თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს, ქვეყანამ იცის, რომ სვამაც კი გაზომა ძვალი და ისე გადაყლაპა და თქვენ კი უზომოდ და, რაც მთავარია, უჩემოდ მთელ სოფელს შეჭმა მოუნდომეთო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სასწრაფოდ ისმო წილმიუღებელი გამწყრალი და არც თუ უსაფუძვლოდ გამდგარი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ერთი ანდაზა მოაგონა: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. როგორც გერჩიოს, თუ გადაწყვიტე და გვიჩივლებ, რაიონში მე კარგად მიცნობენ და შენ ინტრიგანისა და ცილისმწამებლის იარლიყი არ აგცდება. თუ მოითმენ, ხომ იცი, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. დღემდე, შვილოსა, შენ ფხა არ გამოგიჩენია და ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ შენ მარტოთიანი ბიჭი იყავი... ახლა ხომ გაგიგონია, ვისაც თეგზი უნდა, ფხას დასველება უნდა უნდოდეს. შეგვაპოწმე, მაგრამ ისეთი ფაქტი დასწერე, რომ არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ იფიქრა: თუ საფუძვლიანად შევამოწმე, მოხსნის ღირსია, მაგრამ ვაითუ არ მოხსნან და მაშინ სოფელში აღარ დამედგომება, გუდა-ნაბადი უნდა ავიკრა და შორს სადმე უნდა გადავიკარგო, ხოლო თუ მის შეგონებას შევისმენ, უანგარიშო კაცი არა ჩანს, და ჩაყოლა სჯობიაო. ასეც მოიქცა. ისეთი აქტი დასწერა, რომ იტყვიან, არც წყალია და არც ძარიო. ამით სამივეს გული მოუგო, მხარზე ხელი დაჰკრეს და უთხრეს—კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გუბურბიაო. ალალი იყოს შენზე დედის ძუძუ. მაგრამ ახლა მარტო რძე აღარ გეყოფა, ღვინოც უნდა დალიო და ხორციც დააყოლოო.




შეიამხანაგეს, შეიტკბეს, დაიმეგობრეს და ეს სამეული ოთხეულად იქცა. მაგრამ ხომ იცით, წერა-კითხვა ყველამ ისწავლა, წერენ და წერენ. მე შენ გეტყვი, არ მოუსმენენ თუ რა სარევიზიო კომისიამ ფაქტებს წაუყრუა, საქმე მიაფუჩეჩა, დატაცებასა და მითვისებაზე არაფერი უთქვამს... და ვინ იცის კიდევ რა არ დასწერეს.

კიდევ იტყვიან ამის შემდეგ სიმართლის თქმით არაფერი დაშავდებო? ეს ოთხი კაცი ხომ ციხეში ჩასვეს, გზაც იქით ჰქონდათ. სამართალმა პური ჭამაო, იძახოდნენ სოფლელები.

ა. მისნი







# იგავი საგამოცემლო თათბირზე

**თუთიყუში:** გეგმა ესაა, როგორც ვთქვი, წიგნი გამოვა ათამდე.

თუ რამე გინდათ, ვიმსჯელოთ და საქმე ამით ვათავდეს.

**კრიჭინა:** კარგი და სასიამოვნო, ამ საქმეს ჩავუფიქრდებით. ჩამოგვითვალეთ, იმ წელში ვისი გამოვა წიგნები.

**თუთიყუში:** ხომ გაგაცანით ამ წუთში, შენც აქ იყავი, კრიჭინავ, რაკი ასეა, გაგაცნობთ, გეგმაც აქ ხელში მიჭირავს. მაშასადამე, გამოვა:

ვეშაბის ორტომეული, ნიანგის მოგონებები, ბატის „მეათე რვეული“, ხელიკის „თხუნელას

ტრფიალი“, (იმ წლის დასასრულს მოგვიტანს), ჩიორას წიგნი სოფელზე — თუ რას გამოვჭრით ტოტიდან. სიწყნარე! კიდევ გამოვცემთ ქიანჭველების თარგმანებს, გვაქვს გამოკვლევა, ვარდებით ბალიშებს რატომ ქარგავენ. ეს არის ჩვენი მიზანი, ვფიქრობ, დაეძლევთ და გავიტანთ.

**ქორი:** ეგ რა გეგმაა, არ ვარგა, უნდა დავწეროთ თავიდან.

**ბუ:** სად არის, ამხანაგებო, ჩვენი მაღალი შეგნება, ორბი თუ არ შევიტანეთ, გეგმას რა ფასი ექნება!

**ორბი:** გადაიკითხეთ ბოლომდის, ბუ გრჩებათ გეგმის გარეშე, იცით რა წიგნი მიუძღვება მან ჩვენი უბნის ფარეშებს!

**ყვავი:** ბევრი ვიფიქრე გეგმაზე, ავწონ-დავწონე კიდევაც, ქორი თუ არ შევიტანეთ, ეს გეგმა ვისა სჭირდება!

**ქორი:** მე თქვენი მიკვირს, რას ფიქრობთ,

გინდათ ინანოთ მწარეთა? — ყვავს უკვე წიგნი მზადა აქვს და სტოვებთ გეგმის გარეთა..

**კოდალა:** ყანჩა გამოგრჩათ, ჩასწერეთ, წიგნი აქვს მირონცხებულს.

**ყანჩა:** შესატანია გეგმაში კოდალას ლექსთა კრებულიც..

**კრიჭინა:** კარგია, გეგმა რომ ვახდა ასე მსჯელობის საგანი, რომ უფრო გავასუვთაოთ, ვიბრძვით, ღირსებაც აქ არი.. მაგრამ ერთს გკითხავთ, ძვირფასნო,

რად გავიწყდებათ ყორანი?

**ყორანი:** შეიტათ ჩქარა გეგმაში კრიჭინას წიგნი „ბორანი“... და ასე ათი საათი იდავეს, იანგარიშეს, ბოლოს არც ერთი მათგანი არ დარჩა გეგმის გარეშე.

ვახტანგ გორგაძელი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა





# საყბარნო აყბაზე: ჯერ ნიუჯორკ ასეა!!!

ადამიანებს უსოვარი დროიდან ახსოვთ, რომ ენა გაგებინებს საშუალება იყო. ამიტომაც, ბავშვი ფეხს ადგამსანა ერთად ენასაც იდგამს და შემდეგ ენა დადგომას არ ადგამს საშუალო. ხდება ხოლმე, ენა შიშისაგან შეუცლავს უსოვრად (განსაკუთრებით მასსად გამოცდებზე და დისკრეტაციების დაცვის დროს). მაგრამ შიშის გავლასთან ერთად ენა უბრუნდება საწინს მდგომარეობას.

ხდება პირობებიც: ენა გამოისი ზომიერების საზღვრებიდან და მოითმინებინა გამოჰყავს მსმენელი ეს შენიშვნა კრებებზე და ცოლქმრულ დამოკიდებულებაში.

ყველას სურია (მაგრამ სადა), როცა ენა არც წინ გაბობნა და არც შეუცლავს ჩავარდნილი, როცა იგი პირშია დატრული და ზედ კიბულია ექვს დაქვლილი.

დროთა ვითარებაში ენა შეიძლება პროფესიონალიური დაყოფის პრინციპს: მწერალს მძივ ენა ექვს, პოეტს — უბანდელი, კრიტიკოსს — პირველი, მუსიკოსს — გრძელი, დირექტორს — უბანი, ქმარს — ტანბლი, ცოლს — შორე და ა. შ.

ცხადია, ქრონოლოგიურად, ჯერ ადამიანი ენაზე და მერე ენა: ე. ი. ადამიანი უსწრებს ენას. მაგრამ იმის მტკიცებულება შეიძლება, რომ ენა უსწრებს ადამიანს.

ჩა იყო ის პირველი სტიმული, რაზეც ადამიანი უნდა არსებობდა აქცია მოქაქანე პიროვნებად. ერთთა აზრით, პირველი ფრაზა, რაც ადამიანმა

წამოისროლა, იყო: შიშა, მაშვე! ეს ოდნე შექანისტული გაგებაა: ადამიანს მანდალც მოსდა, მაგრამ უზიზღივლად შეულობდა საზრდოდ.

მეორეინ აბტიციებენ: ენა განდა შეუვარდულთა დაახლოების შიშით. ამოცანის არ იყოს, სეყაროსსაც ახსნა უნდა, ახსნა კი სიტყვების ვარემ შეუცლვლები ჩანს.

ჩვენი ვასაუბრებთ: ენა განდა, რათა ადამიანებს გულიანად ვაპოვანდნათ კრებამენი.

ცხადია, ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ ლანდღის ისეთი შესაძლებლობანი, როგორც დღესაა. დროთა განმავლობაში ის ფორმები ისევე შეიქმნა და ფართოდენდა (ზოგიერთ ენაში უკვე შეინიშნება სანსარათულიანი გინების ნიშნუები).

ცნობილია: ბავშვი ბინძურ სიტყვებს ვაკლივითი იღვლიდ ითვისებს, ვიდრე წესიერს. ამ მზრდველებს არც მზარდილები ჩაპოვებანი (თუმცა თავის დროზე ისინიც ხომ ბავშვები იყვნენ?)

აი, ქრეში ვარემ თითისებლა ბავშვს!

— შენი სახელი, ბიუქნა?  
— ვაგა?  
— ეტყობა, ჯერ კიდევ ეთივლიდ „ვაგარა“ ფემატის ქვეშაა.

— ლდ-შამა ვაგა?  
— შაქს, აბა ინტეკი აი ვარ დახადებულნი!

ვადღვივარ ექსტეტი. ჩემს მიერ მოწოდებულ ათი სიტყვივანა უმეტესობად იმეორებს რაეს და რეგერებს. დანარჩენი ორი კი (დანარეა და ჩემნი რა და ვერ შიშ-გონა).

საერთოდ, ადამისეყრებს სიტყვებს, რომლებიც პრაქტიკაში ადგება. მღვქმული კი ყოველ სიტყვივალთ მტკიცელებს; რაც ხშირად ვაუმეგრირებს.

აი, ის შედის დროთან.

— მოდიში, რომეტი, ძალიან ვახოვით... — ისე თიხნა, მ მათივობაა, მომწეული თაივანი!

— ძალიან ვახოვლის დღეობა ბავშვს და მესტკობით.

ეს ვერ იტანს ღენიშველი დამახინჯებასა კი. ხანდახანის შემწიველ ვადასმას მიყვავით ტრავმისაქრულამდე.

მაგალითი ერთ-ფისიდან: — ვიქლაზე, აბრძანდით, ჩემი ადვლია! — შენი რა, მემკვიდრეობაში ვერყო თუ?

ვავი: რის ანამბდ, შენი სურათი მუდამ მარჯვენა გულის ვაბით ვიხილავ. — ქალი: ოპ, შე ორგული, შენა (ეცემა გულწესულ).

ქალმა იცის, ერთგულ ადამიანს გული ერთი უნდა ჰქონდეს და ისიც მარცხნივ, ალღუებულ ვეს შეეშალა ფრაზა (უნდა ეთქვა: შენი სურათი გულის მარჯვენა ვაბით დამაქეს), რთაც ავტორმა მიუღეს კანძის დრამატულ შეყვანს.

არის შემთხვევები, როდესაც სიტყვებს საპირის-პირი მნიშვნელობა იძენენ. მაგალითად: სტუდენტების საბერბინა:

— როგორია ახალი ლექტორი?  
— პრისტიკ მზეკია...—უნდა ვიგულისხმობი, რომ ლექტორი არის ვალერუსად განათლებული პირივინება, ვაჩროი ინტელექტუალი და ღლიდ ადამიანობით შეწყებული.

შეგინებებაში ალიარებულთა, რომ ბევრითი ენა ხელის (ანუ ტექსტის) ენაზე ვასავებთ. ჩვენი დავ-ვირებებიც, მუსიკა და მისხზრებას ვივამარებთ ისინდენტიტ სტადიონზე:

— მოქლაზე, აბრძანდით, ჩემი ადვლია!  
— შენი რა, მემკვიდრეობაში ვერყო თუ?

— ვიმეორებთ, ადვლიო ჩემია!  
— აბა ბებია დავითეც?

ადვლიოს მძივებობა ბებია ალი დვითეც, ხელების სწრაფი მოძრაობით მოწინააღმდეგე ვარენი მოქვანს. უკვე გაისმის მილიციის სასტაციონის ხმა: მან უკვე იცის მათი ადვლია...

ადამიანი პირმტკიცეობა ცხადვლი-ვაქრულე (არის შეთხვევები, რაქც უნდა თუქ ადამიანის პირმტკიცეობა). ფრენდლებიან ვასიანა ვეწვლიდ ახლოს აუთივითი დგას დასწორებას ქრებობა ქვამწერლის ნათქვამი, ვაგეორებას კი, მოვაცხვენობთ, შევლის დღეობა.

ჩვენი ცხოველსაგან აზრიც ვანვავახვებებს. აზრი ჩვენთვის შინაგანი არსია. ან, მარტვად რიში ვთქვამ, ენა ჩემება შინაგანი არსის ვარგვანი ვარბას.

ადამიანს შეუძლია, ჯერ მოისახროს და მერე თქვას, სინამდვილეში კი ჯერ იტყვის და მერე მოიქაზრებ...

ამიტომ, საჭირო შეეძინა დევწერათ სათქმელი, მაგრამ არც წერითი ენა აღნიშნავს და ლღველით ვაუმეგრირებს (ამაში ენა აღნიშნავს კრატკული წერილებსა და დისკრეტულების განიხილვა).

ასეთ პირობებში ადამიანები ახალ საშუალებას ეძიებენ ვაგებენისათვის. ვესწრებთ მათ უწარმატებაში ვაუმრულეს ვაშაზე.

ბარბარა ლიზინი



წიხიის ბაკკაილიძე

ბასავალდებულო ვინ შეტკეპს, რაბომ ქეია ქალაქის ქველ-ში არსებულ დენს ცვლადი დენი? მისწავალი: იმიტომ, რომ ზოგჯერ არის და ზოგჯერ არა.

## საუარჯიშო

ამას წინათ საქ. სარ თბილისის ადმსაკომის ვაქროს სამმართველომ ვამოსა თბილისის ცენტრალური ვერგზალის პრესსურანტი. შინაგნა ვადაწვიტია პრესურანტის ტექსტი ვამოიყენის ქართული ენის საჯიშოდ. მოვავსეს ტექსტი მკითხე შემოკლებით.

### შეკლამები!

მაქაკიის მხატვრული განყოფილებაში ფარასორტიმტკიცე ვაქვას: პალტო, კოსტუმი, შარვალ-ტრეტყევა, საწეპარტი, საცელები და თავსაკეულე ქალის მხატვრული განყოფილებაში მუდამ არსაკეთებო კომპანების წარჩინის სამიწელო ტანსაცული პალტო, კოსტუმი, ბლუზა, ჯაბა, პიჟამა, ხალხბერანეო, კომპანიაში და ყველა სახის თეთრულ-აგრეთვე ბავშვის ტანსაცული და თავსაკეულები.

მუდამ ვაქვას ვასაკეთალი მაქაკიის, ქალისა და ბავშვის წინდები, საცელები, მაკეტი და ტრიკოტაჟის წარჩინა.

მოვეკუვება მრავალი სახის კანნი, თავსაფარი, ცხენსახოცი, კრუვეა, ლენტო, ქოლგა და ტყავის სხვადასხვა სახის წინაპრები.

ყველაფერი კულტურული დასვენებისათვის აუცილებელი: რადიომელონი, ბატფონი, გრამოფონის თიხრები, სხვადასხვა საკრავი ინსტრუმენტები, ვიტრინმანდლიანი, სკრაიპა და პიანინო, აგრეთვე ასორტილი და ფოტოსაკომის ფართო ასორტიმენტები.

მკითხველებს ეცლვათ წინადადება, აღნიშნულ ტექსტში ჩანს ქართული სიტყვები არაქართული სიტყვებითა და ვაქრავებულს ვადეკება ფსიანი საქრავებ პრესსურანტის შემდგენი უსუბა ეცლვათ მონაწილეობა მიიღონ საუარჯიშოს შეგებაში კონკურსს ვარემ.

## სამახსოვრო

არ ვიცი ყველას ახსოვს თუ არა თბილისის მილიციის სამმართველოს მიერ ვამოცხეული „სამახსოვრო მისიარულთაივის ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ“, მე კი, მართალი ვიბიზარია, დამამახსოვრდა. ამ 16-ვერე-რამდენ ვიწინავენი, რომელიც ვანვთივინა ქუჩებში მოძრაობის წესების დაცვისათვის, სულ ცოტა 60-ჯერ დარღვეულია ქართული ენის ვეწმენტარული წესები. აბა მილიციის სამმართველოს ზოგერთი მუშაკი რამე ედარღვეო თუ ქუჩაში მოძრაობის წესების ვარდა ენის წესებზე არსებობს და მისი დავა ყველა დარღვეულებისათვისა დაწესებული. აი რამდენიმე მარგაობი:

1. ვაქრებებზე ვადასელა შეიძლება მიიღოს სასიარულ გზებზე „ვადასასეული“ მარგაობების მახლობლად და ვაგავარედინებზე, ხოლო შეუნიშნის მწვენი ვინაღლიე.
2. წითელი სიგნალი კრძალვს ვადასელას. მოსიარულნი, რომელიც წითელი სიგნალს მიუსწრებს ქვანდლიზე, უნდა ვაქრდენ ქუჩას შუა და დაუკიდონ მწვენი სიგნალს. წითელ სიგნალს შეესაბამება ქუჩაში მოძრაობის მიმწესრიგებელ განყოფილების თანამშრომლის მდგომარეობა, როცა ის მოსიარულთა მიმართ დგას ზურგიან პირობა.
3. ვავონში შესვლის დროს მგზავრები უნდა ვწიდე-ნენ ვავონის სიღრმეში წინ, რომ შესაძლებლობა მისცეს ვაქრებებზე მდგომ მოქალაქეებს ვავონში შესვლისა.
4. ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევი ავრეთ-მე შეიძლება დადებულ ექნას ფულადი ვარიანი.
5. ხუ ვაქრდებთ ვუკრად მოძრავი ტრანსპორტის წინ.

ნიშნულ რეცე საქარისთა, მიღწობა მილიციის სამმართველოს მუშაკებს, რომელიც ვანსკენ ასეთი დასამსტრებელი სამახსოვრო ქართული ენის წესების უხეშად დამრღვეთა საუარჯიშობად.

ნიანბი



— ათი გზა მატქს, ათივე შენსკენ მოდიის...  
— ერთი გზა ვარჩენიათ ხახლსივადი დავტოვო.



# მხარეაყრული მოხრობე


## მომკირნეობის საქმე

ერთ-ერთმა გამომცემლობამ თავის დროზე არ გასწია მომკირნეობა და დამატებით ერთი თაბახი ქალაღი მოითხოვა. სამისოდ წარმოებულ მიწერ-მოწერას მხოლოდ ორი თაბახი ქალაღი დასკირდა.



## ფინანსური თავსაბახი

ერთ საწარმოში წლის ბოლოს დარჩენილი თანხისათვის დირექტორმა საყვედური მიიღო თანხა არ ავითვისებიაო, ხოლო ბუღალტერმა—პრემია, ეკონომია გაგიწვიაო.



## ბელეტრისტის მასალები

ერთი მწერალი ახალი გაზეთების უკანასკნელ ცნობებში გულმოდგინედ ეძებდა მასალებს ისტორიული რომანისათვის.



## საბირკო მძხარსია

ერთ მწვენიერ დღეს საშინელი ავდარი იყო. თბილისის საბჭოს მესვეურები აღმართებს ფეხით შესდგომოდნენ:—რაისაბჭოს მუშაკები უყურადღებოდ მიტოვებულ განაპირა ქუჩების ტალახში ხომ არ ჩაფლნენო.



## საუბრადღეგო გადაწყვეტილება

ერთი წარმოების კრებაზე ერთხმად დაადგინეს, რომ ამიერიდან დადგენილებები კრების ბოლოს იქნას შედგენილი და არა კრების წინაო.

## ერთ-ერთი ხახის რომანის ფინალი

რიგში რომ „პობეღამ“ ვერ მოუწია, ახალგაზრდა კაცმა ოხვრით წამოიძახა:—მშვიდობით, ჩემო სიყვარულო!



## სიტყვა და საქმე

ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა მორალის შესახებ დისერტაცია დაიცვა და იმავე საღამოს თავისი ნაშრომის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთი ოპონენტის ქალიშვილზე დაიწერა ჯვარი.

ა. გასიღაია

ნან. დ. ერისთავისა



— აი, მამიკო, დეღალი ლომი.  
— რას ამბობ შეგო, ლომი და დეღალი?!



საბინაო სამართველოს უფროსმა სახლმმართველს შიკრიკის ხელით შემდეგი შინაარხის ბართი გაუგზავნა:

ამხარულ	იხლოყო!	
<p>შინაარხისათვის მენ საყრდენო-სიყვარული ანუ ჩუჩი: გლორა, მსუფიო გზაყის. არა მარტუ მენ ასაბღქმ ბოჭქმსუ. აშიო სიქე ეპოლოგო ქმლ. მენ არსუ ინსპოტრა მითარმ, შიოშ, რიკა მუშენ ეგობი სარუე ყყყმლ. ვვიჩრომ აქმე რიკო მენ, არა, მამუქე მამრე ქმთარს ლემარ</p> <p>პეტიფი სემო ქმნა სი ყოქყო აქ</p> <p>1952წ. 31 სექტემბერი</p>		


ბართის წამლები ადრე სახლმმართველობაში მუშაობდა, იპოლიტეს მოეხსნა და ახლა საბინაო სამართველოში იყო შიკრიკად. ახლა მოიწადინა, როგორმე საპაიერო გადაეხადა იპოლიტესათვის და ბართს ორივე გვერდი იხე ჩამოაჭრა, როგორც აქა ნაჩვენები. მიიღო იპოლიტემ ბართი და თავზაღი დაეცა. ცუდადა ჩემი საქმეო, იფიქრა, მაგრამ უფრო ის უკვირდა, საიდან გაიგო მმართველმა, რომ ბიძებთან ვარ შეთანხმებულიო. ყველაფერი ჩაუკაკლავს ვიღაცას, გამცეს, გამყიდესო!—დრიაღებდა გაშმაგებული სახლმმართველი. ბოლოს დაშვიდდა. რაკი მწერს, დროულად აღიარეო, აღბათ შემინდობსო. მივიდა მმართველთან, მუხლებში ჩაუფარდა, ყველაფერში გულახდილად გამოუტყუდა და შენდობა სთხოვა.

სამმართველოს უფროსი საგონებელს მიეცა. იფიქრა, მე ამ საქმისა დღემდე არაფერი ვიცოდი, ხანამ თვითონ სახლმმართველი არ გამომიტყუა. ჩანს, მისთვის ვიღაცას ჩემი სახელით ბართი გაუგზავნია და რაკი მესამე პირხაც სცოდნია ამ საქმისა, სჯობია თავი არ გავიფუქო და ეს ბართი ახსნა-განმარტებით პროკურატურას გადავცეო.

როცა პროკურატურაში ყველაფერი გამოიჩკვა, ოინიც ამას მქვიაო სოქვეს და საქმეს მხვლელოა მისცეს.

ლ. ჩიქვანაია





ქმარ ნიანგო.  
(ს. აბელათი)

სოფ. აბელათსა და ბანძის შუა, მდინარე აბაშაზე კეთილმოწყობილი ბონდის ხიდი იყო. ამ ხიდით სარგებლობდნენ ბანძის საკოლმეურნეო ბაზრისაკენ მიმავალი (სოფ. სერგეთიდან, ნახუნადან, აბელათიდან, ჯოლევიდან და ლეძაძამედან), ამ გზითვე უხდებოდა სიარული მოსწავლეებს და მასწავლებლებს.

ეს ფოტოსანახობა წარმოადგენს იმ ფერისცვალებას, რაც ჩვენმა ხიდმა განიცადა. აბელათის სას. საბჭოს თავმჯდომარე (მ. მიქავა) და კოლმეურნეობის თავმჯდომარე (რ. წოწონავა) ერთმანეთს «უთმობენ» ხიდის წესრიგში მოყვანის თაოსნობას, მაგრამ აქამდე ეს საქმე ვერ მოაწესრიგეს.

შ. 8-3ა


**ბარათი ნიანგო**

მომილოცე, ამხანაგო ნიანგო, გადავრჩი, საღსალამათი კაცი საღამოს ათ საათზე, თბილისში, ქალაქის საბჭოს მიერ მრავალჯერ აღრიცხვაზე აყვანილ და აგეგმილ შირშოვის ქუჩაზე, ყოველგვარი სურვილის გარეშე ათმეტრიან უფსკრულში გადავეშვი.

იქნება მკითხო, თვალეები სადა გქონდათ, თვალეები კი თანა მქონდა, მაგრამ იმ შაგბნელ ქუჩის უფსკრულიან ნაპირს არა ჰქონდა არც ელექტროსინათლე, არც ღობე და არც გამაფრთხილებელი ნიშანი.

დაგვეხმარე, ნიანგო! იმ ქუჩით მოსიარულე, ჯერ კიდევ უვნებლად დარჩენილებისათვის თუ სხვა სიკეთე არა, იქნებ გამაფრთხილებელი ნიშანი მაინც გამოქებნო და ზედ დააწერო—აქ, შირშოვის ქუჩაზე გადავარდა 3 კაცი, ერთი ავტომანქანა «მოსკვიჩი» და შენც, გამგლელო, ფრთხილად იყავი-თქო!

**3. აბაღლოგელი**




საშვარელო ნიანგო.  
(ს. ნაგარევი)

რომ გაჩვენა, შეგეცოდებოდა სოფ. ნაგარევის მცხოვრებლები. რა უჭირთ? მეტი რაღა უნდა გაუჭირდეთ? წარმოიდგინე თავი სიბნელეში, წასვლა გინდოდეს—გზების უფარგისობა ხელს გიშლიდეს, ასეთ მდგომარეობაში მყოფს შენს სოფელში არაფერი გართობდეს, ეთერში ხმა ვერ გაიგონო ჩვენი მიღწევების შესახებ.

ელგანათება გკლებიათ—გამოიციანო, სოფლის გზებს ყურადღებას არ აქცევენო, დასძენ, არც რადიო-ქსელის გაყვანა უფიქრიათო—დაუმატებ. გამოცანა გვრება. ყველაფერი ეს ხალასი სინამდვილეა და, იცი, ეს ყველაფერი სად ხდება, საყვარელო ნიანგო? აქვე, ქუთაისის «ცხვირწინ», სულ დიდი—10-12 კილომეტრის დაშორებით. რად ხდება ასე, აბა, ჰკითხეთ ჩვენს თავმჯდომარეებს ლ. ჭიჭინაძეს და შ. ტყეშელაშვილს.

**ნაგარევი**




რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. | სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ხ. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. ქელიძე. | ხაჭ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико юмористический журнал „Ниянგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49

გამომც. № 23. ხელმოწ. დასაბ. 12/XII-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 1371 უფ 03795 ტირ. 30.000.





მოვიდა ვახტანგ შვილდი და განუწონა ისარი მა-  
მალსა ხოხობს, ხოლო ხოხობი იგი ჩამოვარდა ორთა-  
კალას. მაშინ ეაჯუნენ მეფეს ბაჭყალი და მოახსენეს  
— ხოხობი იგი დაკოდილი ჩავარდნილა მდუღარე  
წყაროსა შინა და ჩახოხბილ არს.

და ბრძანა მეფემან:

— გაუენდეს მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნა-  
პირსა ზედა სასადილონი და აუენდეს მტკვრის მარჯ-  
ვენა და მარცხენა სანაპიროს თბილსა ზვევებრესტები.  
საწყენ არს ფრიად, რომ მტკვარს არ აქუს სანაპირო  
მესამე, მესამე ტრესტის დასაარსებლად, ხოლო რამე-  
თუ სასადილონი მრავალნი ესრეთ ძნელ არს სამართა-  
ვად ერთი კაცისაგან, დაინიშნოს მმართველად კაცი  
ორი.

მდაბლად დაუკრეს მაშინ თავი ყმათა და სიქუეს  
სადღეგრძელო ვახტანგური...

უამთაღმწერელი

ნახ. გ. ლოღუას